სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N02-4
CPV64100000 - საფოსტო და საკურიერო მომსახურებები
CPV64110000 - საფოსტო მომსახურებები
CPV64120000 - საკურიერო მომსახურებები

ქ. თბილისი **25 დეკემბერი 2020 წელი**

ერთი მხრივ **სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი უფროსის მოვალეობის შემსრულებლის **დავით ტატიშვილის** სახით და მეორე მხრივ **შპს ქარავან ტრანს ექსპრესს** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **მარინე ბერიძის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია საფოსტო-საკურიერო მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია საფოსტო-საკურიერო მომსახურების შესყიდვა, რომლის ღირებულებაც, მომსახურების თითოეული სახეობის მიხედვით, განისაზღვრება შემდეგნაირად:

N	დასახელება	ერთეულის ღირებულება (ლარი)	
		თბილისი	**რეგიონი**
	1. წერილობითი კორესპონდენცია:		
1.1	მცირე კონვერტი ზომით სიგრძე 22 სმ, სიგანე 11 სმ.	2.70	4.80
1.2	დიდი კონვერტი სიგრძე 32.5 სმ, სიგანე 22.8 სმ.	2.70	4.80
	2. ამანათის სახეობა:		
2.1	მცირე ზომის: სიგრძე 20 სმ, სიგანე 10 სმ, სიმაღლე 10 სმ. მაქსიმალური წონა 0.6 კგ.	5.00	7.00
2.2	საშუალო ზომის: სიგრძე 25 სმ, სიგანე 15 სმ, სიმაღლე 10 სმ. მაქსიმალური წონა 1.5 კგ.	5.00	7.00
2.3	დიდი ზომის: სიგრძე 50 სმ, სიგანე 35 სმ, სიმაღლე 15 სმ. მაქსიმალური წონა 4 კგ.	5.00	7.00

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **4 950.00** (ოთხი ათას ცხრაასორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

2.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

2.5 დაფინანსების წყარო: **2021 წლის საკუთარი სახსრები**.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მიერ საფოსტო გზავნილების მიმწოდებლისთვის გადაცემიდან თბილისში არაუგვიანეს ორ სამუშაო დღეში, ხოლო რეგიონში არაუმეტეს სამ სამუშაო დღეში.

5.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველის მიერ საფოსტო გზავნილების მიმწოდებლისთვის გადაცემა განხორციელდება შემსყიდველის მისამართზე - ქ. თბილისი, გ. ფანჯიკიძის ქ. N1ა.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია, ყოველ სამუშაო დღეს, განახორციელოს შემსყიდველის მისამართზე მინიმუმ ერთი გეგმიური ვიზიტი, შემსყიდველთან შეთანხმებული დროის ფარგლებში.

5.4 შემსყიდველის მხრიდან არაგეგმიური ვიზიტის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, განახორციელოს დღეში ერთი არაგეგმიური ვიზიტი შემსყიდველის მისამართზე.

6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1 შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

6.2 შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირია 7.2 პუნქტით განსაზღვრული პირი.

6.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის, ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიღება დასტურდება მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე პასუხისმგებელი პირია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის საქმისწარმოების მენეჯერი **ივანე მექოშვილი** (ტელეფონი: 577 61 44 07, ელ. ფოსტა: vmekoshvili@emis.ge), ან სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2018 წლის 3 აპრილის N1.1/151 ბრძანებით განსაზღვრული პირებიდან ერთ-ერთი.

8. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

8.1 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნაკლოდ, თუკი შესყიდვის ობიექტი არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გამოასწოროს ეს ნაკლი.

8.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.3 შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს შესყიდვის ობიექტის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

8.5 ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

8.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.7 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.8 ხელშეკრულების პირობების შეუსრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.9 იმ შემთხვევაში, თუ მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა).

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი ფორმით შედგენილი შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **398**–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების საერთო ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების **10%**-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 ხელშეკრულების 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ **10** (ათი) სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

11. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

12. სხვა პირობები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

12.2 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.3 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ს/კ 205300048 მისამართი: ქ. თბილისი, გ. ფანჯიკიძის ქ. N1ა	შპს ქარავან ტრანს ექსპრესს ს/კ 202459883 მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. 7, ოფისი ა107 საბანკო რეკვიზიტები: სს საქართველოს ბანკი კოდი: BAGAGE22 ა/ა: GE29BG0000000230859900
სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	**შპს ქარავან ტრანს ექსპრესს-ის დირექტორი**
დავით ტატიშვილი _____	**მარინე ბერიძე** _____

ქ. თბილისი

შეთანხმებულია და ვადასტურებთ ხელის მოწერით, რომ **შპს ქარავან ტრანს ექსპრესს**-ის (ს/კ 202459883) მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი _____/**დავით ტატიშვილი**/

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის საქმისწარმოების მენეჯერი _____/**ივანე მექოშვილი**/